

თიბისი ბანკი ღამათებით ფინანსურ რესურსს მიიღებს 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით

პრესრელიზი

თბილისი, 27 ოქტომბერი, 2008 – დღეს, 10:00 საათზე, სასტუმრო

“ქორთიარდ მარიოტში” თიბისი ბანკი და OPIC-ი (უცხოური კერძო საინვესტიციო კორპორაცია) ხელს მოაწერენ მემორანდუმს, რომლის თანახმად თიბისი ბანკი დამატებით ფინანსურ რესურსს მიიღებს 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო OPIC-ი ამ თანხის გარანტორ მხარეს წარმოადგენს. თანხა მოხმარდება თიბისი ბანკის მიერ გრძელვადიანი იპოთეკური სესხების, აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას.

მემორანდუმს ხელს მოაწერენ თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე და OPIC-ის აღმასრულებელი დირექტორი რობ მოსბახერი.

ამ ტრანზაქციის ჩათვლით, 2008 წლის განმავლობაში თიბისი ბანკის მიერ უცხოური საფინანსო ინსტიტუტებიდან უკვე მოზიდულია დაახლოებით 250 მილიონ აშშ დოლარი ფინანსური რესურსი. ახალი საკრედიტო ხაზი საშუალებას მისცემს თიბისი ბანკს კიდევ უფრო გააძლიეროს როგორც ფიზიკური, ასევე კორპორატიული კლიენტების დაფინანსება.

OPIC-ი დაარსდა 1971 წელს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სააგენტო. OPIC-ი შეერთებული შტატების კერძო სექტორს ეხმარება განვითარებად ქვეყნებში ეფექტური ინვესტიციების განხორციელებაში, ამ ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის გზით, რითაც ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის გატარებას.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრა-თანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba1